პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 28 დეკემბერი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23.01.2018, №190020020.35.123.016427) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილების №1 დანართი (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის შესახებ) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი №1 დადგენილებას თან ერთვის)

2. დადგენილების №2 დანართი (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ნუსხა) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი №2 დადგენილებას თან ერთვის)

3. დადგენილების №3 დანართი (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ნუსხა) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი №3 დადგენილებას თან ერთვის)

4. დადგენილების №4 დანართი (ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ნუსხა) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი №4 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი